პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 149
(6204)

1934 წ.
აპრილის
ორშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფსაკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ახალგაზრდობის ზეიმი

28 ივლისს სოციალისტური კუბის დედაქალაქ ჰავანაში სახეიმოდ გაიხსნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი, რომლის დევიზია „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისთვის, მშვიდობისა და მეგობრობისთვის“. ფესტივალის საზეიმო გახსნას დაესწრნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო, კუბის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე, საზღვარგარეთელი დელეგაციები. მათ შორის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. შესრულდა საბჭოთა ჰიმნი. სტადიონის ბილიეებზე ჩაირეს დელეგაციებმა, რომლებსაც მოჰქონდათ ფესტივალის 145 მონაწილე ქვეყნის დროშები.

კუბის კომპარტიისა და მთავრობის, ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობისა და ხალხის სახელით მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს მიესალმა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ ვასკესი, კუბის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე, საზღვარგარეთელი დელეგაციები. მათ შორის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. შვერნიკი.

სურათზე: ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის საზეიმო გახსნის მომენტი.

ალჟირიდან მექსიკამდე

ალჟირი. დამთავრდა III აფრიკული თამაშები. ამ კონტინენტის სპორტსმენების ორკვირიანი დავა ხალხთა ერთიანობის, მეგობრობისა და სოლიდარობის ნათელ მანიფესტაციად იქცა. აფრიკის 45 ქვეყნიდან ჩამოსული 5 ათასამდე სპორტსმენი და სტუმარი ამ დღეებში ერთ ენაზე — მეგობრობის, სოლიდარობის, ძმობისა და თანასწორობის ენაზე მეტყველებდა.

15 დღის განმავლობაში ალჟირის დედაქალაქის დარბაზებსა და სპორტულ მოედნებზე აფრიკელ სპორტსმენთა შორის გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა ჩემპიონის საპატიო წოდებისთვის.

გათამაშდა მედლების 100 კომპლექტი. სპორტული ჯილდოების უველაზე უხვი „მოსავალი“ (29 ოქროს, 15 ვერცხლის და 25 ბრინჯაოს მედალი) ტუნისელმა სპორტსმენებმა მოიმკეს. II ადგილზე ნიგერიელი სპორტსმენები გავიდნენ, ხოლო III ადგილი მასპინძლებს — ალჟირელ ათლეტებს ხვდათ.

თამაშებისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. სპორტულ დღესასწაულზე მიწვეულ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ნოვიცკის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია სოკის პრეზიდენტის მეთაურობით, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები.

III აფრიკულ თამაშებში საბჭოთა დელეგაციის ჩასვლა და მისი მონაწილეობა აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს გენერალური ასამბლეის მუშაობაში, აფრიკის კონტინენტის სპორტულ ორგანიზაციებსა და ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტს შორის შემდგომად მზარდი თანამშრომლობის დასტურია.

აფრიკის ქვეყნების სპორტული დელეგაციების ბევრი ხელმძღვანელის აზრით, აფრიკის თამაშები მნიშვნელოვანი ეტაპია მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტსმენთა მოსამზადებლად.

(საკდესი).

ჩემპიონები მესამედ

ბუდაპეშტში დამთავრდა იუნიორ წყალბურთელთა გუნდების ევროპის VI ჩემპიონატი. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძლები და საბჭოთა სპორტსმენები. ჩვენებს ფრეც ჰყოფნიდათ ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. შეხვედრა ასეც დამთავრდა — 5:5 და საბჭოთა წყალბურთელები მესამედ გახდნენ კონტინენტის ჩემპიონები. ამ წოდებას ისინი ფლობდნენ 1970 და 1975 წლებში. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელებს, მ. კარელს მ. გიორგაძესა და მ. ტუკვაძეს.

იტალიის ქალაქ ბესკარაში დამთავრდა წყალბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის წყალბურთელებმა. მათ დაამარცხეს იტალიის მეორე ნაკრები — 10:7, ბუდაპეშტის კლუბი ოშც — 6:5 და გერ-ის გუნდი „შპანდაუ-04“ — 6:3.

აქტუალური ამოცანების წინაშე

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმიდან

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პლენუმზე, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა, სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი დაუთმო რესპუბლიკის პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების, აგრეთვე სპორტკლუბებისა და ფიზკულტურის კოლექტივების საქმიანობას, მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამჯანსაღებელი მუშაობის ფორმებითა და ხასიათის განზოგადებასა და ნაკლოვანებათა დაძლევის გზების დასახვას, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადებას.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ ამ საკითხებზე მიძღვნილ მოხსენებაში, მოწვეულებს — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის დ. ოთხელიძის, მახარაძის რაიონის ნატანების ორგანიზაციის თავმჯდომარის ნ. წითლიძის, კრიმში ევროპის ჩემპიონის დ. კვაჭაძის, თბილისის ტრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორის ნ. ბერიძის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროფორგანიზაციის თავმჯდომარის ვ. მანჯგალაძისა და საქართველოს პროფსაბჭოს საწარმოო სექტორის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ა. რობაქიძის გამოსვლებში ლაპარაკი იყო მთელ რიგ საკითხებზე, რაც საქართველოს პროფკავშირულმა სპორტსაზოგადოებებმა, სპორტსმენებმა, ფიზკულტურულმა კოლექტივებმა 1977 წლის 2 ივლისს გამართული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადწყვეტილებების შესრულებისთვის ბრძოლაში მიაღწიეს, იმაზე, თუ როგორ ამაღლდა სპორტული მაჩვენებლები, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის მიტეტთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურული, სპორტული და გამჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებისთვის.

რესპუბლიკის პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების 2300-ზე მეტ ფიზკულტურულ კოლექტივში შეშან საერთო ჯამში გადაპარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი — მომზადდა 11 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 178 სპორტის ოსტატი, 4000-ზე მეტი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 150 ათასამდე მასშრივი თანრიგის სპორტსმენი, 190 ათასზე მეტი მშრ კომპლექსის ნიშნოსანი.

საქართველოს პროფსაბჭომ ბოლო წლებში გაცილებით მეტი უურადღება დაუთმო სპორტსაზოგადოებათა ორგანიზაციულად განმტკიცებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ზრუნვა ბაზებისა და სპორტსკოლების ქსელის გაფართოებისთვის. საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გაწეული თანხა. მაგალითად, თუ შარშან პროფბიუჯეტიდან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას 7700 ათასი მანეთი მოხმარდა, წელს 9 მილიონი მანეთის გაღებაა დაგეგმილი (აქ არ შედის ის სახსრები, რაც სპორტნაგებობების რეკონსტრუქციასა და მშენებლობას მოხმარდება).

ბოლო ორი წლის მანძილზე სპორტსაზოგადოებებთან 10 სხვადასხვა პროფილის სპორტსკოლა შეიქმნა 8 ათასზე მეტი ბავშვისთვის. პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების სახსრებით:

ახიგო: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საცურაო აუზი, ქუთაისის ლითოფონისა და ელექტრომექანიკური ქარხნების სპორტდარბაზები, მანეთი და საჭიდაო დარბაზი, ამავე ქალაქში, წყალტუბოში — „ლოშეურნის“ სტადიონი, წყალწმარწყვის ბაზები გალსა და საბერიოში...

შენდება: რუსთავში ჭიმკომბინატის საცურაო აუზი და დარბაზი, საგარეჯოში. მესტიასა და ყასპში საჭიდაო დარბაზები. წალენჯიხაში — აუზი. ცხვარიჭამიაში — „სპარტაკის“ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი. თბილისში — „ცისარტყელას“ გამჯანსაღებელი ბონა, „ბურევესტნიკის“ ორდარბაზიანი კორპუსი აუზით, დასრულეს უახლოესდა დიდუბეში მძლეოსნური უნივერსალური მანეჟის მშენებლობა...

(დასასრული მე-2 გვ.).

ნყარბურთი

ბაღდათში ჩატარდა ქალაქის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. ამ ჩემპიონატში მონაწილეობდა 8 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბაღდათის „ტორპედო“ და ქალაქის ელექტრომექანიკური ქარხნის „ელფა“. ორივე გუნდმა ბრწყინვალე თამაში გამოიჩინა. ბოლო წუთამდე ანგარიში ნულ-ნულზე იდგა. ბოლოს „ტორპედომ“ გაიმარჯვა — 2:1.

ქუთაისში ჩატარდა ქალაქის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. ამ ჩემპიონატში მონაწილეობდა 8 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და ქალაქის ელექტრომექანიკური ქარხნის „ელფა“. ორივე გუნდმა ბრწყინვალე თამაში გამოიჩინა. ბოლო წუთამდე ანგარიში ნულ-ნულზე იდგა. ბოლოს „ტორპედომ“ გაიმარჯვა — 2:1.

სახალხო ზეიმი ღუმეთში



მეიერი. გოროზნა, ამაყნი, ხან ხალაოსერულნი, ხანაც შუბლნათელხი, ხვიადად მზირალნი. დაბლა, ვიწროებში არაგვი მოხვიხს, სერგადაცქა, ლაქვარდისფერ ცაში არწივი ბოინობს. აქედან იწყება კაკას სამფლობელო, აქედან თითქოს ზღაპრულ სამყაროში უნდა ძაგდე ფეხი.

მთიელი ქალის ცხოვრება წარმოუდგენელია სპორტის გარეშე. მთა ბევრს აჩვევს და ასწავლის ადამიანს. ძველთაგან ძვირად ფასობდა მთიელთა სიმარდე, ვაჟკაცობა და სიჩაუქე. დუშეთის რაიონში ახლაც არიან ისეთი სპორტსმენები, თავიანთ მშობლიურ კუთხეს საქებარ როგ გაუთქვეს სახელი. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი ქვეყნის სამბისტთა ნაკრები გუნდის წევრები სოსო როსტიაშვილი, აკაკი ოქროპირიძე და დავით ბოდაველი დუშელები არიან. ამ ბიჭებისგან ბევრს ელიან სპორტის ქართველი გულშემატკივრები.

კვირას დუშეთში გაიმართა გლეხთა ჯანყების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საბალხო ზეიმი. ქალაქი დროშებითა და ტრანსპარანტებით მოერთოთ, ყველგან საზეიმო განწყობილება სუფევდა. მიტინგამდე მოეწყო სპორტული ასპარეზობანი ფუბბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში. მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში. ამ ფოტოსურათებზეც, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა **მიხეილ ზარგარიანმა** შემოგვთავაზა, სწორედ ამ შეჯიბრებათა მომენტებია ასახული.



დასასრული

განზრახულია: ბაკურიანში 220-ადგილიანი სათხილამურო ბაზის, ფოთში 150-ადგილიანი ელინგით სანიჩბოსნო სადგურის მშენებლობა, ქობულეთის სტადიონისა და ზუგდიდის იპოდრომის რეკონსტრუქციის დამთავრება...

მომხსენებელმა ილაპარაკა ბოლო წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგებზეც და აღნიშნა, რომ გარჯას ერთგვარი ნაყოფიც მოჰყვა: II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშობებში რესპუბლიკის პროფკავშირელმა სპორტსმენებმა 945,31 ქულა მოაგროვეს. ეს 152,31 ქულით მეტია წინა თამაშების ნადაგლთან შედარებით. იმატა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში წარმატებებმა.

შემდეგ ლ. ხარებელია ვრცლად შეჩერდა მშრომელთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ამ მიმართებით გაწეულ მუშაობაზე, სამერმისო ამოცანებზე. თქვა, რომ ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქიმიური კომბინატის, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და ლითოფონის ქარხნის, წითელი წყაროს რაიონის სოფ. ზემოქედის სტალინის სახელობისა და მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობების, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, ინდუსტრიული ტექნიკუმის ხელმძღვანელები.

პლენუმზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გამაჯანსაღებელი ღონისძიებებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოო ტანვარჯიშს, ტურიზმს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ საქმიანობას, რისი კარგი გამოცდილებაც აქვთ „სპარტაკს", „განთიადს", „ლოკომოტივს".

ითქვა, რომ რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დონე, გახშირდა მასობრივი შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში, რეგულარულად ეწყობა ქართულ მოჭიდავეთა ტურნირები გორის, კასპის, ყვარლის, საგარეჯოს, ხაშურის, თელავის, მცხეთის რაიონებში.

მაგრამ მომხსენებელს, მოკამათეებს არც ის ნაკლოვანებები დაუფარავთ, რომლებიც პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების, მათი სპორტკლუბების, ფიზკულტურის კოლექტივების, ცალკეული სპორტსმენების საქმიანობაშია.

როცა ყურადღება კულტურისა და დასვენების პარკებში, სპორტულ ბაზებთან გამაჯანსაღებელი ჯგუფების მეშაობაზე გამახვილდა, ითქვა, რომ თბილისის „გამარჯვების" პარკში ნაყოფიერად საქმიანობენ ჯანმრთელობის ჯგუფები, რომლებსაც პატარა მოედნის გარდა, სხვა ელემენტარული პირობები (ტერიტინი გასახდელი, შხაფი, გათბობა...) არა აქვთ. მცირერიცხოვანია „ლოკომოტივის" სტადიონის ჯგუფი...

ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ჯერ კიდევ ორგანიზაციულად განმტკიცებელია, ამიტომაც იქ სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა დაბალ დონეზეა, ხშირად არ აქვთ, ან ვერ უკლიან არსებულ ბაზებს. რიგი უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები ვერ ხედავენ ამ ნაკლოვანებებს, ზაფხულის კათედრების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. უცხო ენების პედაგოგიურ, სამედიცინო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, სოხუმის, თელავის, ცხინვალის პედინსტიტუტებში სპორტი დაბალ დონეზეა, რის გამოც შარშან მათ არც ერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებიათ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, შესაბამისი სპორტსაზოგადოებები კი მათ სათანადო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევენ.

პლენუმზე ლაპარაკი იყო სპორტსაზოგადოებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მწვრთნელთა კვალიფიკაციის დაბალ დონეზე, რაც ტექნიკური შედეგების ზრდას აფერხებს. ზოგიერთი აღმზრდელი წლობით ვერ იძლევა შედეგს. მაგალითად, განთიადელ მოცურავეთა მწვრთნელებს მიჰყავთ, ალექსეევს, ბოგდანოვს, „ბურევესტნიკის" ნიჩბოსანთა აღმზრდელებს ელბაქიძეს, ჭანტურიას, ჭიდაობაში ბაღათელიას („ლოკომოტივი"), ზაღზრდის კათედრების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. უცხო ენების პედაგოგიურ, სამედიცინო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, სოხუმის, თელავის, ცხინვალის პედინსტიტუტებში სპორტი დაბალ დონეზეა, რის გამოც შარშან მათ არც ერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებიათ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, შესაბამისი სპორტსაზოგადოებები კი მათ სათანადო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევენ.

პლენუმზე ლაპარაკი იყო სპორტსაზოგადოებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მწვრთნელთა კვალიფიკაციის დაბალ დონეზე, რაც ტექნიკური შედეგების ზრდას აფერხებს. ზოგიერთი აღმზრდელი წლობით ვერ იძლევა შედეგს. მაგალითად, განთიადელ მოცურავეთა მწვრთნელებს მიჰყავთ, ალექსეევს, ბოგდანოვს, „ბურევესტნიკის" ნიჩბოსანთა აღმზრდელებს ელბაქიძეს, ჭანტურიას, ჭიდაობაში ბაღათელიას („ლოკომოტივი"),

აქტუალური ამოცანების წინაშე

სათხილამურო სპორტში ბანდურსა და კოზანაშვილს კვალიფიციური სპორტსმენები არ მოუმზადებიათ. ჩამორჩება სპორტსმენთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა, ამიტომ ხშირია სხვადასხვა ხასიათის დარღვევების შემთხვევები.

მკაცრად გააკრიტიკეს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის დირექცია (დირექტორი ე. გენცაძე), პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დაქვეითებისთვის. ითქვა, რომ ქარხნის საცურაო აუზი შესაკეთებელია და მთელი ზაფხულის მანძილზე წყალი არ ჩაუსხამთ, ქარხნის დირექცია თავს არ იწუხებს სპორტდარბაზის ქითილმოწყობაზე, სტადიონის რემონტზე, სხვა ბაზების მოწესრიგებაზე. გენცაძე პრინციპულად არ ასრულებს კმის თაობაზე ბათუმისა და აჭარის ხელმძღვანელი ორგანოების 1975, 76, 77 და 78 წლების (?!) გადაწყვეტილებებს.

მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ცუდად იღვწიან თელავის წინდების საჭოს ფაბრიკაში, თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, დუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, გარდაბნის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში. საქართველოს სსრ მშენებლობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების რიგი ორგანიზაციები სხვა უწყებათა პროფკავშირთა ხელმძღვანელები ცუდად იყენებენ მათთვის მინიჭებულ სპორტული ბაზების მფლობლობის უფლებას. რატომღაც აქამდე ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების კოოპერირებით სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის პრაქტიკამ.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა. საკავშირო უნივერსიადაში და სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებებში პოზიციების საგრძნობი დაკნინება, ის, რომ II საკავშირო ახალგაზრდული თამაშობების ჩატარების ფაქტით, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის „განთიადისა" და „ლოკომოტივის" გუნდები ვერ მოხვდა, რაც ამ ორგანიზაციებში მუშაობის შესუსტების ბრალია. განა სამარცხვინო არ არის, რომ რესპუბლიკაში ჯგუფების, სექციების რიცხვი მცირდება; რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი, ამ ტიპის სასწავლებლის საკავშირო თამაშების ოთხგზის ჩემპიონი, 1975 წელს მეორე იყო, 1976 წელს — მეოთხე, შარშან — მეთოთხმეტე; რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პოზიციები დათმეს „განთიადმა" და „კოლმეურნემ"?...

დ. ოსელიანმა თავის გამოსვლაში უმეტესად ილაპარაკა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტული კოლექტივების პრობლემებზე, იმაზე, რა მუშაობასაც შესაბამისი სამინისტრო და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ეწევიან მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის გასაუმჯობესებლად.

გ. წითლიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბევრგან საბჭოთა მეურნეობის დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ორგანიზებულ დასვენებას, ილაპარაკა იმაზე, თუ რა ადგილი დაიკავა ფიზკულტურამ და სპორტმა ნატანებელ კოლმეურნეთა ცხოვრებაში, როგორ იზრდება ბაზების ქსელი; რომ სოფელში მალე მწყობრში ჩადგება ერთ-ერთი საუკეთესო სპორტდარბაზი, რომელიც საერთაშორისო მატჩებსაც უმასპინძლებს; აღნიშნა, რა დიდი როლი ენიჭება გამოჩენილ სპორტსმენთა გამოსვლებს სოფლის მშრომელთა წინაშე, როგორია მიმბაძველობის ძალა...

სტუდენტური სპორტის, განსაკუთრებით კრივის პრობლემებს მიეძღვნა **დ. კვაჭაძის** გამოსვლა. იგი ილაპარაკობდა იმაზე, რომ უსაშველოდ გაჭიანურდა „ბურევესტნიკის" დარბაზის კაპიტალური რემონტი კიროვის სახელობის პარკში.

ნ. ბერიძემ შეკრებილთ მოუთხრო ქალაქის ტრანსპორტის გაერთიანების კოლექტივის საქმიანობაზე, ბაზების მდგომარეობაზე, გამაჯანსაღებელი მუშაობის ფორმებზე. მაგრამ არაფერი თქვა იმაზე. სპორტკლუბ „სინათლის!" სტადიონის რემონტი უსაშველოდ რომ გაჭიანურდა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას" მრავალი პრობლემა აქვს. მათზე, მათი დაძლევის გზებზე კი ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ვ. მანჯგალაძემ**. რატომღაც არაფერი თქვა. მან ჯერ-ჯერობით ვერ ჰპოვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების კოოპერირებით სპორტული ნაგებობათა მშენებლობის პრაქტიკამ.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა. საკავშირო უნივერსიადაში და სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებებში პოზიციების



გოლი გოლისა სწორია

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 30 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0).

თბილისი: გოგია, კოსტავა(მუხარი), კანთელაძე, ხინჩაგაშვილი (ჩივაძე), გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მოსკოვი: პილგუი, ბოკი, ნოვიკოვი, მახვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, კოლესოვი, დოლმატოვი, იაკუბაკი (გერშკოვიჩი), მაქსიმენკოვი (კაზაჩონოკი), მინაევი.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

გოლები გაიტანეს ქორიძემ (მე-80 წუთი) და მინაევმა (87-ე).

ფეხბურთელთა განლაგება მინდორზე საცნაურს ხდის ხოლმე გუნდის ჩანაფიქრს. მატჩის დაწყებიდან 10-15 წუთის შემდეგ საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა მოსკოველთა სათამაშო გეგმა. ცენტრალურ მცველებს ნოვიკოვსა და ბუბნოვს ფაქტიურად დოლმატოვიც დაემატა და ამ სამკუთხამ საიმედოდ შეკრა საჭარიმოს მისასვლელები. სტუმრებმა მინდვრის ცენტრში ოთხ ნახევარმცველს მოუყარეს თავი. ასე რომ მხოლოდ ერთადერთი ფეხბურთელი, კოლესოვი იყო თავისუფალი დაცვითი ფუნქციებისაგან. თუმცა, უამისოდ ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ კიდევ ერთი ფრის უსიამო პერსპექტივის მიუხედავად მოსკოვის „დინამომ“ მატჩამდე გადაწყვიტა ქულაზე თამაში — სტატუსი განაცხადში არ იყო არც გერშკოვიჩისა და არც კაზაჩონოკის გვარები. კიდევ ერთ საბუთად მეტოქის კარისკენ რეიდების მოყვარულის მახვიკოვის შედარებით პასიური თამაშიც გამოდგება. რა თქმა უნდა, თბილისელთა თანაკლუბელებს ხელი არ აუღიათ გოლის გატანის მცდელობაზე — მაქსიმენკოვიც, პეტრუშინიცა და განსაკუთრებით მინაევი მართალია, დროდადრო, მაგრამ საბიფათოდ ემუქრებოდნენ გოგიას კარს. პირველ ტაიმში ძალზე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს მინაევმა და მაქსიმენკოვმა — კარგად ითამაშა თბილისელთა გოლკიპერმა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე მინაევის დარტყმული ბურთი ოდნავ სცდება მასპინძელთა კარს.

სხვა იყო ჩვენი საფეხბურთო ლიდერის მიზანი და ამ მიზნის მიღწევას მეტოქისაგან სავსებით განსხვავებული მოქმედება ესაჭიროებოდა. 4-3-3 — ასე დაიწყეს თბილისელებმა თამაში. შემდეგ ყოფილმა ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი მიატოვა და მინდვრის სიღრმიდან გრძელი გადაცემებით სცადა წინ დარჩენილი ორი ფორვარდის გააქტიურება, იერიშებში დროდადრო ერთვება გოჩა მაჩაიძეც. არც ამ ხერხმა გაჭრა — ხუთი მცველის გარემოცვაში მოქცეულ გუცაევსა და შენგელიას გვარიანად უჭირდათ. დარასელიას აგრესიული თამაში მხარდაჭერის გარეშე დარჩა.

დრო გადიოდა, მატჩი თანდათან უახლოვდებოდა ლოგიკურ — „საყაიმო“ ფინალს. და აი, მეოთხმოცე წუთზე ქორიძემ წამით დაასწრო მცველებს და თავური დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში, თუმცაღა, არანაკლებ შთამბეჭდავი იყო სტუმართა პასუხიც — შვიდი წუთიც არ იყო გასული, რომ მინაევის ოსტატურად დარტყმულმა ბურთმა მიზანს მიაღწია. თანაკლუბელები ასეც დასცილდნენ ერთმანეთს — ისევ ფრე, ისევ 1:1 და ისევ საკვებით კანონზომიერი გოლებიცა და შედეგიც.

ი. გერიაშვილი.

• • •

სურათებზე: წამის შემდეგ ვ. ქორიძის დარტყმული ბურთი მოსკოველთა კარის ბადეში აღმოჩნდება; შეტევაშია რ. შენგელია.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

საქალაქო ამბები

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები:

„ტორპედო“ — „ნეფთჩი“ 1:0.

„ჩერნომორეცი“ — „ზარია“ 1:1

„ზენიტი“ — „არარატი“ 0:1

„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 0:2

„ლოკომოტივი“ — „ქაირათი“ 0:2

„შახტიორი“ — „დინამო“ კ. 2:0

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	18	12	4	2	25—12	28
„შახტიორი“ ცსკა	17	12	1	4	24—13	25
	18	10	3	5	24—21	23
„ჩერნომორი“.	18	8	6	4	25—15	22
„ტორპედო“	18	8	5	5	21—15	21
„დინამო“ მ.	17	7	6	4	20—14	20
„დინამო“ კ.	18	6	7	5	24—16	19
„ზენიტი“	18	5	6	6	20—22	18
„სპარტაკი“	18	7	3	8	23—22	17
„ფახთაქ“.	18	5	5	8	24—25	15
„ქაირათი“	18	5	5	8	16—23	15
„ნეფთჩი“	18	5	5	8	13—16	15
„ზარია“	18	5	4	9	20—26	14
„ლოკომოტ“.	18	4	6	8	16—25	14
„არარატი“	18	5	2	11	9—25	12
„დნეპრი“	18	3	2	13	13—27	8

ფეხბურთი

პირველი ლიგა

29 ივლისს ქალაქ არმავირში ჩატარდა კალენდარული გათამაშების გუნდებს შორის. ადგილობრივი „კარატი“ შეხვდა ქუთაისის „ტორპედოს“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მეორე ლიგა

30 ივლისს გაიმართა საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები II ლიგის IV ზონის გუნდებს შორის:

„შირაკი“ (ლენინაკანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0, „ხაზარი“ (ლენკორანი) — „დილა“ (გორი) 1:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ზვეზდა“ (პერმი) 3:0, „გასტელო“ (უფა) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 3:1, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „დინამო“ (ყიროვი) 1:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზვეზდა“	26	15	4	7	38—19	34
„შირაკი“	26	13	8	5	48—26	34
„კოტაიკი“	26	14	3	9	35—34	31
„ტორპედო“	26	12	7	7	34—22	31
„ავტომობ“.	26	13	3	10	35—35	29
„ყარაბ“.	26	11	7	8	32—23	29
„ტურბ“	26	12	4	10	30—34	28
„გაზოვ“.	26	11	6	9	34—26	28
“დინ“ ზ.	26	10	8	8	31—24	28
„გურია“	26	10	7	9	34—31	27
„რუბინი“	26	10	7	9	30—27	27
„ზენიტი“	25	8	11	6	29—23	27
„გასტ“.	26	11	4	11	30—34	26
ფიზკ. ინსტ.	26	8	10	8	24—22	26
„დრუჟბა“	26	11	3	12	34—29	25
„ლოკომოტ“.	26	10	5	11	36—41	25
„დინ“. კრ.	26	10	5	11	32—30	25
„დინ“. ბ.	26	9	7	10	26—25	25
„პროგრ“.	25	10	3	12	24—34	23
„ურალ“.	26	9	5	12	31—36	23
„დინ“. ს.	26	8	6	12	35—43	22
„დილა“	26	5	11	10	24—28	21
„ხაზარი“	26	8	4	14	24—40	20
„არაზი“	26	2	4	20	16—60	8

ველოსპორტი

საკავშირო ჩემპიონატი ტრეკზე ასპარეზობაში

ამ საინტერესო ასპარეზობის ოლო დღეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ოთხი კომპლექტი ელოდა მფლობელებს. მათთვის ბრძოლაში კი ჩაება სპორტსზოგადოებისა და უწყებების ოთრმეტი კვარტეტი, რომელთა ორის სამი სსრ კავშირის ნაკრები გუნდი იყო.

ჩემპიონატის ფინიშზე 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდური ბრძოლაც მთავრდებოდა — ას წრედ (ოცდაცამეტი საშუალედო ფინიშით) ასპარეზობაში პირველობის პრეტენდენტთა ვინაობაც უნდა გარკვეულიყო (ჩემპიონატი ამ სახეობაში მოგვიანებით ჩატარდება).

ამ დღეს საბოლოოდ უნდა დასახელებინა ვინაობა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებისა, რომლებიც შუა ივნისტოში მიუნხენში მსოფლიო ჩემპიონების ოქროს მედლების საძიებლად უნდა წავიდნენ.

ოთხი კოლექტივიდა დარჩა სარბიელზე — სსრ კავშირის სამი ნაკრები და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომლებსაც იმ მედლების ბედი ერთანეთთან დავაში უნდა გადაეწყვიტათ. ლენინგრადელებს ჰქონდათ საბაყო: ისინი ხომ ქვეყნის უძლიერეს კვარტეტთა ოთხეულში შევიდნენ. ეს იყო დიდი წარმატება იუნიორებისა. რომლებმაც სულ რაღაც ერთი თვის უკან ვაშინგტონში გამართულ თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვეს. ახლა იმ კვარტეტის სამი წევრი — ვ. მანაკოვი, ა. კულეკოვი და ა. კრასკოვი, ო. ბრენიკოვთან ერთად გადაწყვეტი იერიშებისთვის ემზადებოდა.

ნახევარფინალები დაიწყო. ლენინგრადელები ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის I გუნდს, რომელმაც წინ დღით მეოთხედფინალში სსრ კავშირის რეკორდი (4.20,24) დაამყარა.



წინ მიუნხენია!

გამოცდილებამ თავისი გაიტანა — ლენინგრადელებმა დუელი წააგეს და ახლა უნდა მომზადებულიყვნენ სსრ კავშირის შესამე ნაკრებთან საბრძოლველად. ქვეყნის მეორე გუნდი ფინალში სწორედ მათთან გამარჯვებით გავიდა.

დაჭანცულ სპორტსმენებს გადამწყვეტი ბრძოლების წინ ძალების მოსაკრებად ერთსაათიანი შესვენება ეძლევათ. მსჯთა კოლეგიამ სწორედ ეს პერიოდი გამოიყენა 100 წრეზე ჯგუფური რბოლის ლაურეატების გამოსაკვლევად.

განთიადელი თ. კინკაძე პირველ საშუალედო ფინიშთან მეორე იყო და 3 ქულა დაიმსახურა. მაგრამ მერე კარგა ხნით ჩრდილში მოექცა, თუმცა შუა დისტანციის შემდეგ ზედიზედ ორი საშუალედო ფინიში მოიგო და საბოლოოდ 15 ქულას მოუყარა თავი. საუკეთესო აღმოჩნდა დინამოელი ს. კირგინცევი, რომელმაც ფინიში შეიდჯერ პირველმა გადაკვეთა და ამდენჯერვე მეორე იყო. ჯამში 59 ქულა მოაგროვა, თანაც უპირატესობის წრის შემოცლა მოასწრო. მეორე ადგილზეა ა. ლეონტიევი („სპარტაკი“) — 44 ქულა, მესამეზე — რეინგზელი ბ. გოლუბნიჩი — 36 ქულა.

ამასობაში 4 კმ გამოდევნებით გუნდურ რბოლაში გადამწყვეტი ბრძოლების დროც დადგა. პირველად გაიმართა ბრინჯაოს მედლების მაძიებელთა დუელი: სსრ კავშირი III — ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტი. სტუდენტებმა ქვეყნის I ნაკრებთან დამარცხებისთვის ახლა თავისებური რევანში აიღეს...

...საბჭოთა კავშირის რვა საუკეთესო ველოსიპედისტი ოვალური ბილიკის ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს განლაგდნენ. II ნაკრებს, რომლის ძმადგებულობაში თბილისელი ბ. ჩევარდოვის გარდა ბ. ანსონსი, ნ. მაკაროვი და ო. ლიადოვი იყვნენ, მხოლოდ ერთი ბრძოლის მოგებადაა აშორებდა იმ ოქროს მედლებს, რომლებიც მათი სტარტიდან სულ ათიოდე მეტრში მაგიდაზე ელაგა.

სტარტის დრო დადგა, მაგრამ ვ ოსოკინი და ი. ბელიაევსკო პირველი ნაკრებიდან არ ჩანდნენ. ფარებში მანქანების მოწესრიგება ვერ მოესწროთ, თუ ზედმეტად ღელავდნენ, არავინ იცოდა. ეს კია, მეტოქის ნერვებზე მოქმედებდნენ. ლოდინი საქმოდ გაგრძელდა და მხოლოდ მსაჯი-მესტარტის გ. ცქიტიშვილის უკანასკნელი გაფრთხილების შემდეგ გამოჩნდნენ.

მაყურებელთა გამაყრუებელ ყიჟინაში მიილია წუთები. ერთხანს II ნაკრები დაწინაურდა. გუნდი, როცა ჩევარდოვი და მაკაროვი ლიდერობდნენ, უფრო სწრაფად მიჰქროდა, მაგრამ ანსონსი და ლიადოვი ტემპს ვერ უძლებდნენ. I ნაკრები კი საათის მექანიზმიკით ზუსტად მუშაობდა და გამარჯვებაც მოიპოვა. ლენინგრადელმა ვ. ოსოკინმა, ტულელებმა ვ. პეტრაკოვმა და ი. ბელიაევსკიმ, ალმაათელმა ვ. ერლიხმა ჩემპიონის ოქროს მედლები მოიგეს — 4.22,66. მეორე გუნდის წევრებმა ვერცხლის მედლები მიიღეს და კიდევ ერთხელ შეასრულეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ოქროს მედლები გადაეცათ ჩემპიონების მწვრთნელებსაც კ. შენგელაიას, ე. ბარიმოვს, ბ. ვასილიევსა და ჰ. იაპინშს.

— აი, ახლა შეგვიძლია გითხრათ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მიუნხენში გავემგზავრება, — გვეუბნება სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ვარგამკინი და შეჯიბრების მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის არბიტრის შ. საგარეშვილის თანდასწრებით სიას გვაცნობს:

სპრინტში — ტულელი ს. კოპილოვი, აშხაბადელი ვ. რომანცოვი და კრასნოდარელი ს. ეფრავლოვი.

გიტში — სსრ კავშირის ჩემპიონი, ალმაათელი ნ. მაკაროვი.

გუნდურ რბოლაში — ოსოკინი, პეტრაკოვი, ერლიხი და პელიპენკო.

გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში — ოსოკინი და ჩევარდოვი გამოვლენ, ამასთან მაკაროვი და ჩევარდოვი ჯგუფურ რბოლაში ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, ხოლო გამოდევნებით გუნდურ ასპარეზობაში თაობარიში იქნებიან.

— დაამთავრა მან.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული, რისთვისაც ცენტრალური ველოდრომის კოლექტივი და საუკეთესო მსაჯები საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ო. გელაზვილი.

• • •

სურათებზე: ბ. ჩევარდოვის შეჯიბრების მომენტი;

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ანგარიში კვლავ არ გახსნილა

29 ივლისს ბაგიოში (ფილიპინები) მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის VI პარტია გათამაშდა.

კარპოვმა თამაში ლაზიერის ფრთის კუს-ჰაიით დაიწყო. მან პირველად მიმართა ინგლისურ დასაწყისს, რომელსაც სისტემატურად თამაშობს პრეტენდენტი. მსოფლიო ჩემპიონმა უპირატესობა ვერ მიიღო. კორჩნოიმ შეძლო ლაზიერის ფრთაზე გამაგრება. ალბათ კიდევ შეიძლებოდა ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ მეტოქენი ისე დაღალა წინაღიით V გადატებული პარტიის ექვსსაათიანმა თამაშმა, რომ მათ დაზავება ამჯობინეს.

ამ VI პარტიაც:

კარპოვი — კორჩნოი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 e5 2. ვc3 ვf6 3. ვf3 ვc6 4. g3 ქb4 5. ქg2 0—0 6. 0—0 e4 7. ვe1 ქc3 8. dc h6 9. ვc2 ეe8 10. ვe3 d6 11. ლc2 a5 12. a4 ლe7 13. ვd5 ვ:d5 14. cd ვh8 15. ქe3 ქf5 16. h3 ვd7 17. c4 b6 18. ლc3 ვc5 19. b3 ლd7 20. ვფh2 ეe7 21. ქd4 f6 22. ეac1 ლe8 23. ლe3. ყაიმი.

30 ივლისს მეტოქენი კვლავ მიუსხდნენ V პარტიას, რომელიც 92-ე სვლაზე იყო გადადებული. კორჩნოი განაგრძობდა მოგების გზის ძიებას. მას პატში უნდა ჰაეგდო ქარპოვის მეფე. რომ იგი იძულებული გაეხადა ს ჰაიკი ეთამაშა, რაც პრეტენდენტს მოგებას აძლევდა, ამიტომ ცდილობდა კორჩნოი ჩანაფიქრის ხორცშესხმას. კარპოვმა საუცხოოდ გამოიყენა თეორიული ყაიმის მიღწევის შანსი.

124-ე სვლაზე პრეტენდენტი ყაიმს შეურიგდა. საერთო ჯამში პარტია 12 საათსა და 15 წუთს გრძელდებოდა.

ამ V პარტიის ფინალიც:

კორჩნოი (თეთრები): ვფg5, ქf6, ვ a3.

კარპოვი (შავები): ვფh5, ვვ. a4, b5.

92. ვფf5 (ჩაწერილი სვლა) 92. ... ვფh6 93. ქd4 ვფh7 94. ვფf6 ვფh6 95. ქe3+ ვფh5 96 ვფf5 ვფh4 97. ქd2 ვფg3 98. ქg5 ვფf3 99. ქf4 ვფg2 100. ქძრ ვფf3 101. ქh2 ვფg2. 102. ლc7 ვფf3 103. ქd6 ვფe3 104. ვფe5 ვფf3 105. ვფd5 ვფg4 106. ვფc5 ვფf3 107. ვფh5 ვფe6 108 ვფრძ ვფf6 109. ვფd7 ვფg7 110. ლe7 ვფg8 111. ვფe6 ვფg7 112. ლc5 ვფg8 113. ვფf6 ვფh7, 114. ვფf7 ვფh8 115. ქd4+ ვფh7 116. ქh2 ვფh6 117. ვფg8 ვფg6 118. ქg7 ვფf5 119. ვფf7 ვფg5 120. ქh2 ვფh6 121. ლc1+. ვფh7 122. ქd2 ვფh8 123. ლc3+ ვფh7 124. ქg7. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ექვსივე პარტია ყაიმით დამთავრდა და, მაშასადამე, ანგარიში ჯერ არ გახსნილა — 0:0. VII პარტია, რომელშიც თეთრებით კორჩნოი ითამაშებს, დღეს უნდა გაიმართოს.

ჭადრაკი

მიკენასის აზრით...

ვილნიუსი, 31 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ XIX საერთაშორისო ტურნირში შაბათ — კვირას ორი, XIII-XIV ტურის შეხვედრები ჩატარდა.

XIII ტურში ტ. პეტროსიანმა სძლია ლ. ეს პირს (გდრ). ბ. გულკომ მოუგო ა. ბელიავსკის. მაია ჩიბურდანიძე დამარცხდა გ. პეშნასთან. დაზავდნენ ი. ჩომი (უნგრეთი) — ი. ლეხტინსკი (ჩეხოსლოვაკია). ოთხი პარტია გადაიდო.

XIV ტურში კვლავ გაიმარჯვა პეტროსიანმა, ამჯერად კ. კაიშაურთან (შვეიცია). ტუკმაკოვმა დაამარცხა მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია). ყველაზე შეთანხმდნენ ჩომი — გულკო, მ. დვორეცკი — ი. დორფმანი. ოთხი პარტია ამ დღესაც დაუმთავრებელი დარჩა.

ჩიბურდანიძე — ვ. მიკენასის პარტია რთულ მდგომარეობაში გადადგა. სპეციალისტების აზრით, ჩიბურდანიძეს უკეთესი პერსპექტივები აქვს. პარტიის შემდეგ ტურნირის ხუთცესმა მონაწილემ, 68 წლის მიკენასმა თქვა: „ცდილობდი მახე დამეგო, ბოლოს მასში თავად აღმოვჩნდი. მაია ძალიან საშიში მეტოქეა".

ორშაბათს უნდა დამთავრდეს 10 გადადებული პარტია და ლიდერთა მდგომარეობაც გაირკვევა. ახლა 14 ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს 9,5 ქულა აქვს, ვ. ტუკმაკოვს — 9 ქულა და 2 გადადებული პარტია, ბ. გულკოს — 9.

პირველი გალი

ამსტერდამში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში ჰაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ა. იუსუპოვმა (მოსკოვი) I ადგილი დაიკავა — 9,5 ქულა 13-დან. იუსუპოვმა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა (პირველი ბალი). II ადგილზეა ამერიკელი დიდოსტატი ლ. კრისტიანსენი — 8,5.

დიდოსტატი აქებს ქართველ გოგონებს

თითქმის მთელი ივლისი წაბაძორი (სომხეთი) მასპინძლობდა მოჭადრაკე ქალებს — სომხეთის საჭადრაკო ფედერაციის ქალთა რესპუბლიკური ტურნირის მონაწილეებს. ჭადრაკის მესვეურებმა მაღალმთიან აგარაკზე სასპარეზოდ მიიწვიეს ერევნისა და სხვა ქალაქების 12 უძლიერესი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. აგრეთვე საქართველოს მოჭადრაკეები, ოსტატობის კანდიდატები ნ. მელაშვილი (თბილისი), თ. მესხი და მ. ჭირაქაძე (ორივე — ქუთაისი).

თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს მელაშვილმა და მესხმა და I ადგილის ბედი მათს „სპორტულ დუელში" გადაწყდა. ჯერ მელაშვილი დაწინაურდა, მაგრამ VII ტურში მას მესხი დაეწია. VIII, IX ტურებში მათ ორ-ორი ქულა ჩაიწერეს. X ტურში კი მესხმა მოუგო მელაშვილს. მაგრამ ერთპიროვნული ლიდერობა ვერ შეინარჩუნა: XI ტურში დამარცხდა ე. ხალიფიანთან. დარჩენილ სამ შეხვედრაში კი მხოლოდ 2,5 ქულა მოაგროვა. მელაშვილმა მარცხის შემდეგ ოთხივე პარტია მოიგო და 12 ქულით ფინიშიც პირველმა გადაკვეთა. მესხს 11,5 ქულა დაუგროვდა.

ჭირაქაძე ლიდერებს კვალში მიჰყვებოდა ხალიფიანთან ერთად. ბოლოს ამ გოგონებმა 9,5 ქულით თითოეულმა III-IV ადგილები გაიყვეს. 9 ქულა მოაგროვა ოსტატობის კანდიდატმა ნ. მანგრიანმა.

— ჩვენი ტურნირი, პირველ ყოველისა, ახალგაზრდა პერსპექტიული მოჭადრაკეების გამოვლენას ისახავდა მიზნად. ეს შევძელით ქართველი მოჭადრაკე გოგონების ხელშეწყობით. სტუმრები შესანიშნავად თამაშობდნენ, რაც მათს მზარდ ოსტატობაზე მეტყველებს, — თქვა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, გამოჩენილმა ეტიუდისტმა, კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატმა ჰ. კასპარიანმა.

ჟ. გოგელაური.

მზიარული ფანქრით

ზ. ჭელებაშვილის ნახატი.

თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტთა გუნდმა, რომელიც უმაღლესი ლიგის კოლექტივების წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით გამოდის, გასულ კვირას მძიმე მატჩი მოუგო (6:0) მოსკოველ თანაკლუბელებს და ცხრილის სათავეში მოექცა. გუნდის წარმატებას ბევრად არის დამოკიდებული მისი მწვრთნელი-მოთამაშის თ. ბენდიაშვილის მონდომებასა და შრომისუნარიანობაზე. ბენდიაშვილმა საშუალო დონის კოლექტივი სამი წლის მანძილზე ქვეყნის ერთ-ერთ პირველ კლასის გუნდად აქცია, რასაც რეგბისტთა შორის დისციპლინის განტკიცებით, მეგობრული ატმოსფეროს შექმნით მიაღწია.

ეს ფოტო სწორედ თანაკლუბელების მატჩზე შესვენების დროს არის გადაღებული. ბენდიაშვილი (წრეში) თანაგუნდელებს დარიგებას აძლევს.

ო. გელაშვილის ფოტო.

არდილესი და ვილა...

ორი მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინის ნაკრების ნახევარმცველები არდილესი და ვილა მომავალი საფეხბურთო სეზონიდან ინგლისის ცნობილ კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურში" ითამაშებენ.

კიდევ ერთი წლით...

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ 1 წლით გააგრძელა კონტრაქტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან ა. მაკლეოდთან. არგენტინაში განცდილმა წარუმატებლობამ, როგორც ხედავთ, ვერ შეარყია მაკლეოდის პოზიციები.

ჯაიჩი ალარ ითამაშებს

ბელგრადში გამოცხადდა, რომ „ცრვენა ზვეზდას" კაპიტანი და იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი წამყვანი თავდამსხმელი ჯაიჩი საფუდამოდ ანებებს თავს ფეხბურთს. ჯაიჩმა იუგოსლავიის ჩემპიონატებში 581 მატჩი ჩაატარა და 279 გოლი გაიტანა. ხოლო ნაკრებში ითამაშა 84 მატჩი და 23 ბურთი გაიტანა. ამას გარდა, ჯაიჩი კარგა ხანს საფრანგეთში თამაშობდა.

ბეარზოტი რჩება

იტალიის ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს ე. ბეარზოტს კიდევ 4 წლით გაუგრძელა კონტრაქტი. ასე რომ, ბეარზოტი გუნდს მოამზადებს ევროპის 1980 წლის და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატებისთვის.

მძღეოსნობა

დონეცკში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ათკილომეტრიან შორის. ისევე როგორც მარშან, ჩემპიონას წოდება მოიპოვა სტავროპოლელმა ა. გრებენიუკმა. მან 8161 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი მოიპოვა ბელგოროდელმა ი. კუცენკომ — 8041, ხოლო ბრინკოს მედალი — როსტოველმა ვ. ბერიაკოვმა — 8009. პარალელურად ჩატარდა მატჩი ამერიკელ ათკილომეტრელებთან. აქაც საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო. მათ დააგროვეს 47765 ქულა, ხოლო ამერიკელთა შედეგია 45596. საბჭოთა გუნდში საუკეთესო იყო იგივე გრებენიუკი, ხოლო ამერიკელთა შორის ფ. დიქსონი — 8034 ქულა.

„სპორტლოტო"

სტატისტიკის მოყვარულთათვის

„სპორტლოტოს" სტატისტიკის მოყვარულებს გავაცნობთ მეორე კვარტალში თუ რამდენი ბილეთი იყო „ბედნიერი".

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ერთმა გამოიცნო, ხუთი ნომერი — 360, ხუთი (შეღავათიანი ბურთულით) — 7, ოთხი — 9221, ოთხი (შეღავათიანი ბურთულით) — 706, სამი — 333027.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი აქაც ერთმა გამოიცნო, ხუთი — 289, ხუთი (შეღავათიანი ბურთულით) — 7, ოთხი — 11110, ოთხი (შეღავათიანი ბურთულით) — 674, სამი — 201859.

„შაბათის სპორტლოტო": პირველი ტირაჟი — ხუთი ნომერი გამოცნობილია 115 ბარათში, ოთხი — 12606, სამი — 397451.

მეორე ტირაჟი: ხუთი ნომერი გამოცნობილია 101 ბარათში, ოთხი — 13261, სამი — 394141.

გაზეთ „ლელოს" რედაქციას

თქვენი გაზეთის საშუალებით გთხოვთ დიდი მადლობა გადასცეთ ყველა იმ ორგანიზაციას, მმანაგსა და მეგობარს, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის მწუხარება მეუღლის გარდაცვალების გამო.

მიხეილ იაკუშინი.

„49 წამი გღვარი არ არის!"

ბერლინი. ლაიპციგში, გდრ-ის ჩემპიონატში 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის (49,19) დამყარების შემდეგ მარიტა კოხმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, ამ დისტანციის 49 წამში დაფარვა ძალზე შთამაგონებელია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც 400 მ გარბენა 50 წამზე უფრო ნაკლებ დროში შეძლო. ეს ზღვარი შეიძლება გავუთანაბროთ ქალების მიერ 100 მეტრის 11,00-ში, ან 200 მეტრის 22,00-ში გარბენას, მაგრამ ახლა ვფიქრობთ, რომ მისი დაძლევა შესაძლებელია".

გაზეთ „დოიჩეს შპორტებოს" კორესპონდენტთან საუბარში კოხმა გულთბილად მოიხსენია პოლონელი სპორტსმენი ირენა შევინსკა, რომელსაც მან ჯერ 200 მ რბენაში მსოფლიო რეკორდსმენის წოდება ჩამოართვა, ხოლო ცოტა მოგვიანებით — 400-მეტრიან დისტანციაზეც აჯობა. „ირენამ მეც ბევრი მაშინ მოიპოვა, როცა მე ჯერ კიდევ არ ვფიქრობდი მძლეოსნობაზე. მას აქვს უნარი უცვლელად შეინარჩუნოს ბრწყინვალე ფორმა. გაოცებული ვარ მისი შედეგების სტაბილურობით, ირენა ძალიან სიმპათიურია, არ ყოყლოჩინობს. ამაში მე დავრწმუნდი ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი სპორტში. ვეცდები ვიქონიო ის თვისებები, რაც ჩემს პოლონელ მეგობარს გააჩნია".

როცა კოხს ჰკითხეს პრაღის ევროპის ჩემპიონატში რომელ დისტანციაზე იასპარეზებს, მან უპასუხა, რომ ეს საკითხი ჯერ გაურკვეველია: „კალენდრის გამო, სამწუხაროდ, ორივე დისტანციაზე გამოსვლა შეუძლებელია, ამიტომ ყველაფერს გადაწყვეტს სპორტული ფორმა და გუნდის ინტერესები".

მარიტა ევროპის ჩემპიონატზე უფრო შორს იყურება: „პრაღის შემდეგ საქმე არ შემიმყუდეთქდება: უნდა ჩავაბარო გამოცდები ფიზიკაში, ქიმიაში (კოხი როსტოკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს). მაგრამ ვეცდები..."

კოხს რომ ბევრის მიღწევა შეუძლია თუ „მოინდომებს", ეს ჩანს ჟურნალ „ლეიბიჰტათლეტის" (გდრ) კორესპონდენტ ამბრახარდ ბოკთან მისი საუბრიდან 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევის დამყარების შემდეგ: „ახლა ჩემს საყვარელ დისტანციას — 400 მეტრს მოვკიდებ ხელს. ვეცდები აქაც მივაღწიო წარმატებას".

მართლაც, სტადიონის წრე ყველაზე უფრო პასუხობს სპორტსმენის ტემპერამენტს, 400-მეტრიანი დისტანციით დაიწყო მარიტამ დიდი სპორტის გზა. ივი პირველი იყო გდრ-ის 1974 წლის სასკოლო სპარტაკიადაში, ერთი წლის შემდეგ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში წინ გაუშვა თანამემამულე კრისტინა ბრემერი, მონრეალის ოლიმპიადაზე მარიტა ნახევარფინალამდე მივიდა, ხოლო მსოფლიო თასის გათამაშებაში დაუსულდორფში შეენსკასთან წააგო. და მაინც კოხის აზრით, სწორედ ამ დისტანციაზე აქვს მას უფრო მეტი რეზერვი (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის კომპარტიისა და პარასაბჭოსა რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-61.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 10119